ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25
2018 წლის 28 თებერვალი

ქ. ახალქალაქი

„ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 22 იანვრის №8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 22 იანვრის №8 დადგენილებაში „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვებგვერდი (www.matsne.gov.ge, 29/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.141.016234) და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

ა) **მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 7. სამსახურის დებულების დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა.

1. სამსახურის დებულებას ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით ამტკიცებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.“;

ბ) **ამოღებულ იქნეს 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტი;**

გ) **ამოღებული იქნეს მე-8 მუხლი.**

მუხლი 2

დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ნაირი ირიციან**